EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეოთხე სექცია

C რუმინეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 47358/20)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ

სტრასბურგი

30 აგვისტო, 2022 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მე-8 მუხლი - პოზიტიური ვალდებულებები

მნიშვნელოვანი ხარვეზები სამუშაო ადგილზე სავარაუდო სექსუალური შევიწროების გამოძიების პროცესში: *დარღვევა*

ფაქტობრივი გარემოებები:

განმცხადებელი დასაქმებული იყო კომპანიაში, რომელიც დასუფთავების სერვისს სთავაზობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის სარკინიგზო სადგურს. განმცხადებელმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა განცხადებით, სადგურის მენეჯერის (C.P.) მხრიდან სექსუალური შევიწროების თაობაზე. გამოძიების შედეგად, პროკურატურამ საქმე დახურა იმ საფუძვლით, რომ სადავო ქმედებები ვერ აკმაყოფილებდა სექსუალური შევიწროების სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემადგენლობას. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა როგორც უფროსმა პროკურორმა, ისე - საოლქო სასამართლომ. ორივე შემთხვევაში, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სადავო ქმედებების გამო განმცხადებელს არ განუცდია დამცირება, რაც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, დასახელებული დანაშაულის ელემენტი იყო.

სამართლებრივი შეფასება: მე-8 მუხლი

(ა) *გამოსადეგობა* - ფაქტები, რომლებიც მოცემულ განაცხადს დაედო საფუძვლად, შეეხება განმცხადებლის ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას და მის სექსუალურ ცხოვრებას, რომლებიც ხვდება მე-8 მუხლით დაცულ პირად სფეროში. განსახილველი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, და უფრო ზოგადად, განმცხადებლისთვის განსახილველი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო მოპყრობა აღწევდა ამ ნორმის გამოყენებისთვის დაწესებულ ზღვარს, რამდენადაც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ თავდასხმა განხორციელდა მისი სექსუალური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.

(ბ) *არსებითი განხილვა* - საქმე შეეხებოდა სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროებისგან დაცვისთვის შექმნილი სისტემის პრაქტიკაში გამოყენებას. ფაქტობრივი გარემოებები ხვდება ისეთ ქმედებათა კატეგორიაში, რომლებზეც, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დაცვის სათანადო სამართლებრივი ჩარჩო ყოველთვის არ მოითხოვს, რომ არსებობდეს კონკრეტული ქმედების მომცველი ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი ნორმა.

სარკინიგზო კომპანია, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაშია, არის საჯარო დაწესებულება, რომლის ქმედებებიც, კონვენციის შესაბამისად, შესაძლებელია, გახდეს სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ფლობდა ინფორმაციას სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის არსებობის თაობაზე, მან საპასუხოდ ფაქტობრივად არაფერი მოიმოქმედა და როგორც ჩანს, არც შიდა მოკვლევა

ჩატარებულა. შესაბამისად, ევროპული სასამართლოსთვის შეუძლებელია, დაადგინოს, დამსაქმებლის დონეზე არსებობდა თუ არა მექანიზმები სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შემთხვევაზე რეაგირებისთვის. ეს ფაქტორი, თავისთავად შეიძლება მოდიოდეს წინააღმდეგობაში მე-8 მუხლის მოთხოვნებთან. ამ კუთხით, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ ევროკავშირის სამართლის რელევანტური დოკუმენტები ერთხმად გმობს სექსუალურ შევიწროებას და სახელმწიფოებს პრევენციული ზომების მიღებისკენ მოუწოდებს. აღნიშნული დოკუმენტები ასევე აღიარებს, რომ სამუშაო ადგილზე შევიწროება ჯანდაცვის და უსაფრთხოების სფეროს მიეკუთვნება, ამდენად საჭიროა მასზე რეაგირება და პრევენცია; ამასთან, ხსენებული დოკუმენტები სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ ზომები სექსუალური შევიწროების ეფექტიანი პრევენციის და აღკვეთისთვის, როგორც სამუშაო ადგილზე, ისე - სხვაგან.

თუმცა, რამდენადაც განმცხადებლის საჩივარი უმთავრესად ორიენტირებული იყო მის განცხადებებზე პროკურატურის და ეროვნული სასამართლოს არაჯეროვანი რეაგირების თაობაზე, ევროპული სასამართლო შეამოწმებს მექანიზმებს, რომლებიც განცდილი ზიანისთვის სამართლებრივი მისაგებლის მისაღებად დანერგა სახელმწიფომ და ხელმისაწვდომი იყო განმცხადებლისთვის.

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, სექსუალური შევიწროება სისხლის სამართლის დანაშაული იყო და შევიწროების ყველაზე მძიმე ფორმად ითვლებოდა, შესაბამისად, ითვალისწინებდა უფრო მკაცრ სასჯელსაც. მართლაც, მოცემულ საქმეში, პოლიციამ და პროკურორმა მიიჩნიეს, რომ საჭირო იყო გამოძიების ჩატარება. შესაბამისად, განმცხადებელს არ ჰქონდა საფუძველი, ეჭვი შეეტანა გამოძიების ეფექტიანობაში და მისაგებლის მიღების შესაძლებლობაში. თუკი ჩაითვლება ეფექტიანად, სისხლისსამართლებრივი დაცვის საშუალება თავისთავად აკმაყოფილებს მე-8 მუხლით დადგენილ პროცედურულ ვალდებულებებს. შესაბამისად, პროკურატურის და სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით, რომელთა თანახმადაც მომჩივანს არ განუცდია დამცირება, არ შეიძლება განმცხადებლისგან მოვითხოვოთ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება, მაგალითად, სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყება, რაც ხელმისაწვდომი იყო, თუმცა, სავარაუდოდ, წარმატების ისეთივე შანსები ექნებოდა, რაც სისხლის სამართლის საქმეს.

შედეგად, გასარკვევია, სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ფარგლებში სახელმწიფომ რამდენად ჯეროვნად შეძლო განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების, უფრო კონკრეტულად კი - მისი პიროვნული ხელშეუხებლობის დაცვა.

გამოძიება დროულად დაიწყო და დადგინდა, რომ C.P.-მა ნამდვილად ჩაიდინა სადავო ქმედებები. თუმცა, ეროვნული ოფიციალური ორგანოების გადაწყვეტილებებში არაფერი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ მივიდნენ ისინი საბოლოო გადაწყვეტილებამდე. პროკურატურამ მხოლოდ დეტალურად აღწერა შეგროვებული მტკიცებულებები, იმის განმარტების გარეშე, თუ როგორ ასაბუთებდა ისინი მიღებულ გადაწყვეტილებას. ასევე იკვეთება, რომ პროკურატურამ მომჩივნის განცხადებები კონტექსტურად არ განიხილა და არ ჩათვალა სანდო მტკიცებულებად. ამ კუთხით, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ

ოჯახში ძალადობის მსგავსად, სექსუალური შევიწროების საქმეები ზედაპირზე ყოველთვის არ ჩანს, რადგან მნიშვნელოვანწილად, მათ არ ასაჩივრებენ - ასეთ ფაქტებს ხშირად აქვს ადგილი პირად ურთიერთობებში და დახურულ კარს მიღმა, რაც მსხვერპლისთვის მტკიცებას ართულებს. ეს ხარვეზი არ გამოსწორებულა ეროვნულ დონეზე მიღებულ მომდევნო გადაწყვეტილებებში, რომლებიც არ მოიცავს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ როგორ განიმარტა კანონი და როგორ მოერგო ის მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, არც პროკურატურას და არც სასამართლოს არ განუმარტავს, რის საფუძველზე დაადგინეს, რომ განმცხადებელს თავი დამცირებულად არ უგრძვნია; მათ ასევე კონტექსტურად არ გაუანალიზებიათ მტკიცებულებები - რას განიცდიდა განმცხადებელი C.P.-სთან ყოველი შეხვედრისას - მაგალითისთვის, განმცხადებელსა და მას შორის არსებული სუბორდინაციული დამოკიდებულების და C.P.-ის მხრიდან სავარაუდო მუქარის ფონზე.

ოფიციალურ ორგანოებს არ უცდიათ, საკუთარი დასკვნები დაეკავშირებინათ ეროვნულ კანონმდებლობასთან, მიუხედავად იმისა, რომ ღირსების პატივისცემა ეროვნული სამართლის მნიშვნელოვანი ასპექტი იყო; ამასთან, მათ არ უცდიათ იმ გავლენის შეფასება, რომელიც C.P.-ის ქმედებებმა განმცხადებელზე იქონია. სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენისას, მსხვერპლის დაშინების და დამცირების ელემენტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეროვნულ ოფიციალურ ორგანოებს შეეძლოთ განმცხადებლისთვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რათა სპეციალისტს გაეანალიზებინა C.P.-სთან შეხვედრის დროს განმცხადებლის განცდები და შესაბამისი სავარაუდო ფსიქოლოგიური შედეგები. მათ ასევე შეეძლოთ, შეემოწმებინათ, რამდენად არსებობდა განმცხადებლის მიერ ცრუ საჩივრის წარდგენის საფუძველი, რამდენადაც ამაზე შეფარვით მიანიშნებდა რამდენიმე მოწმის ჩვენება.

დამატებით, ევროპულმა სასამართლო შეშფოთებით აღნიშნა, რომ პროკურატურის გადაწყვეტილება დეტალურად იმეორებდა C.P.-ის ინსინუაციებს განმცხადებლის პირად ცხოვრებასთან და მისი ქმედებების და ბრალდებების სავარაუდო მოტივებთან დაკავშირებით. ამ განცხადებების ზოგიერთ ასპექტზე მითითება, შესაძლოა, აუცილებელი ყოფილიყო, თუმცა რთულია იმის აღქმა, თუ დანაშაულის გამოძიების რა მიზანს ემსახურებოდა ამ განცხადებათა დეტალური ასახვა გადაწყვეტილებაში. გარდა იმისა, რომ ეს განცხადებები იყო გულგრილი და უპატივცემულო განმცხადებლის მიმართ, მათი გადაწყვეტილებაში ასახვა ახდენდა განმცხადებლის სტიგმატიზებას და შესაძლოა, მივიჩნიოთ განმცხადებლის მე-8 მუხლით დაცული უფლებების შეზღუდვად. მსგავსად, პროკურორს არ განუმარტავს, რატომ იყო აუცილებელი მოწმეთა დაპირისპირება (ეხებოდა განმცხადებლის და C.P.-ის შეხვედრას კომპანიის ფილიალის მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ოფისში და მის გავლენას მომჩივანზე). ამ კონტექსტში ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ დაპირისპირების აუცილებლობა სიფრთხილით უნდა შეფასდეს და მსხვერპლის ღირსება და მგრძნობელობა გათვალისწინებული და დაცული უნდა იყოს.

საერთაშორისო საზოგადოებამ სექსუალური შევიწროება ერთხმად დაგმო და სახელმწიფოებს მოუწოდა, ეფექტიანად დაესაჯათ დამნაშავეები და აღეკვეთათ დაუსჯელობა. ამავდროულად, საერთაშორისო აქტები ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს,

გაატარონ საჭირო სამართლებრივი და სხვა ტიპის ღონისძიებები მსხვერპლთა უფლებების და ინტერესების დასაცავად. ასეთი ღონისძიებები მოიცავს, *inter alia*, განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან დაცვას - ვალდებულებას, რომლის შესრულებაც სახელწიფო ორგანოებმა მოცემულ საქმეში ვერ შეძლეს.

დაბოლოს, მას შემდეგ, რაც სარკინიგზო კომპანიამ შეიტყო სექსუალური შევიწროების თაობაზე საჩივრის შესახებ, განმცხადებელს მოუწია ამ ფაქტის შედეგების გამო ტანჯვა, რადგან სწორედ მას აიძულეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. ამ ელემენტმა უდავოდ გააღრმავა მომჩივნის მწუხარება და უსასოობის შეგრძნება, თუმცა ეს სახელმწიფო ორგანოებს არანაირად არ მიუღიათ მხედველობაში მისი საჩივრის განხილვისას.

ამ არგუმენტებზე დაყრდნობით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის საქმის გამოძიების დროს გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც უტოლდება კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მუხლი 41: 7,500 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.